ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №19
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

10 თებერვალი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი" **(შემდგომში „შემსყიდველი“),** წარმოდგენილი გენერალური დირექტორი მოადგილის მალხაზ ხარებავას სახით მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე "ზურაბ ჩაჩანიძე" (ს/კ 54001002417) **(შემდგომში „მიმწოდებელი“),** მისი დირექტორის, ზურაბ ჩაჩანიძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს არასბიუჯეტო სახსრებით საქონლის შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის დანაყოფის **CPV 44400000** კოდებით გათვალისწინებული საქონელი. კერძოთ; **(CPV-44411000)** - სანტექნიკური მოწყობილობები დანართი №1-ის შესაბამისად;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 444.00 (ოთხასორმოცდაოთხ) ლარის;
4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. მხარეების უფლებები და მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
6.1.1 პერიოდულად შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;
6.2.2 უზრუნველყოს საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
6.2.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებულ საქონლის ინსპექტირების პროცესში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება, აღნიშნული ფასის შესაბამისად;
6.4.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
6.4.3 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული საქონლის შესახებ;
6.4.4 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული კონტროლი.
7.2 საჭიროების შემთხვევაში ხელშეკულების ინპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ამ მიზნით სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს 2011 წლის 29 ნოემბრის № 252 განკარგულებით შექმნილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.
7.3 ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.
7.4 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ისპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 20 თებერვლამდე;
8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა;

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით,
9.2 შესყიდვის საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის" ტრანსპორტისა და მეურნეობის სპეციალისტი ივანე ავაზნელი (პირადი №01002012741);
9.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

10.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სასაქონლო ზედნადების და ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

12. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
12.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
12.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
12.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.15 პროცენტის ოდენობით
12.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.
13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შეიძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მარტამდე. ნაკისი ვალდებულებების საბოლო შესრულებამდე.

17. ფორს–მაჟორი

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სხვა.
17.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

18. სხვა დებულებები

18.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
18.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
18.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

19. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

დასახელება: სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186 ალ. ყაზბეგის გამზირი №42ა
ტელეფონი: +995 32 239 93 48,
219 22 33.
ფაქსი: +995 32 239 93 48.
საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი 200169325, ს/ს "თიბისი ბანკის" ნაძალადევის ფილიალი,
ბანკის კოდი TBCBGE22,
ა/ა № GE45 TB05 00 000 360 801 001GEL

გენერალური დირექტორის მოადგილე:
მალხაზ ხარებავა

მიმწოდებელი:

ი.მ "ზურაბ ჩაჩანიძე"
მისამართი: თბილისი, ქავთარაძის ქ. №3
ტელეფონი: **555 66 66 55** **597 29 21 28**
საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი **54001002417,** სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE73BG0000000134958700

დირექტორი:
ზურაბ ჩაჩანიძე

დანართი №1

სსიპ-ის "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი" და ი/მ-ის "ზურაბ ჩაჩანიძე" შორის 2014 წლის 10 თებერვალს დადებული № 19 ხელშეკრულების დანართი №1;

№	საქონლის მოკლე აღწერა	რ-ბა	ერთ. ფასი (ლარი)	თანხა დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმი	4	28	112
2	ეტალის გოფრირებული მილი	4	5	20
3	ვინტილი	12	7	84
4	ონკანი	4	35	140
5	უნიტაზის სახურავი	4	15	60
6	ონკანის მილი გოფრირებული (მეტალის) 45 სმ	8	3.5	28
			სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით	444.00

შემსყიდველი:

მალხაზ ხარებავა
სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს
გენერალური დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი:

ი/მ "ზურაბ ჩაჩანიძე
დირექტორი ზურაბ ჩაჩანიძე